პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 24 (6089)

1978 წ. 2 თებერვალი ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნანა იოსელიანი — ევროპის ჩემპიონი

თბილისელი მოსწავლის კიდევ ერთი ბრწყინვალე წარმატება

## [...]იუბილეო [...]ლის მძლავრი [...]ბიჯები

[...]ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ საქართველოს [...] ცენტრალური სტატისტიკური [...]ართველოს ცნობა რესპუბლი[...] სახალხო მეურნეობის განვი[...]რების 1977 წლის სახელმწიფო [...]გმის შესრულების შედეგების [...]ახებ. საქართველოს სსრ მშრო[...]ებმა, რომლებიც სკკპ ისტო[...]ული XXV ყრილობისა და საქა[...]ველოს კომპარტიის XXV ყრი[...]ობის გადაწყვეტილებებს ასრუ[...]ებენ, დიდი ოქტომბრის მე-60 [...]თავი და სსრ კავშირის ახალი [...]სტიტუციის მიღება რესპუბლ[...]ის ეკონომიკური და სოციალუ[...] განვითარების შემდგომი წარმა[...]ებით აღნიშნეს. ფართოდ გაშ[...]ლი სოციალისტური შეჯიბრების [...]ფუძველზე 1977 წელს უზრუნ[...]ყოფილია საზოგადოებრივი წა[...]ოების მასშტაბისა და ეფექტი[...]ობის ზრდა. თანმიმდევრულად [...]ულდებოდა ხალხის ცხოვრების [...]ტერიალური და კულტურული [...]ონის ამაღლების პროგრამა.

## საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის თ. მოსაშვილის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებიდან".

პლენუმის მონაწილეებმა აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — 1978 წელი გადააქციონ დამკვრელური შრომის წლად და ახალ წარმატებებს მიაღწიონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში. (საქინფორმი).



ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ იუგოსლავიის ქალაქ კიკინდაში დამთავრდა გოგონათა შორის (20 წლამდე) ევროპის II პირველობა. დასკვნით, IX ტურში ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲛᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲧᲐᲘᲛᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲔᲘᲩᲗᲐᲜ (ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ) ᲓᲐ 7 ᲥᲣᲚᲘᲗ I ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ.

ნ. იოსელიანს გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონის თასი გადაეცა.

### ჩვენი კომენტარი

ნანა იოსელიანმა ისევ გაახარა ჭადრაკის გულშემატკივრები. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვება უდაოდ თვალსაჩინო წარმატებაა. ჩვენი აზრით, იგი არ არის მეტი შარშან დეკემბერში, ლვოვში, სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატში მოპოვებულ ვერცხლის მედალზე, მაგრამ ეს მიღწევა ნიჭიერი გოგონას დიდი შემოქმედებითი წინსვლის ახალი დადასტურებაა.

ნანა იოსელიანი 12 თებერვალს 16 წლის გახდება. იგი თბილისის 130-ე საშუალო სკოლის IX კლასის წარჩინებული მოსწავლეა. არის სპორტკლუბ „უშბის" წევრი. ჭადრაკს პატარაობიდან გატაცებით და სიყვარულით თამაშობს. არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენიოთ ნანას პირველი მწვრთნელები, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ო. ალხანიშვილი, ო. თურქესტანიშვილი და, განსაკუთრებით, მისი ამჟამინდელი მწვრთნელი-სეკუნდანტი ოსტატი გ. უბილავა, რომელიც იუგოსლავიაში თან ახლდა.

ევროპის ახალი ჩემპიონი აქტიური შემტევი სტილის მოჭადრაკეა. იგი შეუპოვარი და დაუცხრომელია მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში. ნანა დიდი აღმავლობით ეპაექრება მასზე გამოცდილ მეტოქეებსაც კი. გაიხსენეთ თუნდაც სსრ კავშირის ქალთა 36-ე ჩემპიონატი. 14 წლის გოგონამ მაშინ სძლია მსოფლიოს პირველობის იმდროინდელ პრეტენდენტებს ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას, ხოლო მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

კიკინდაშიც ნანა იოსელიანი დიდი შემართებით იბრძოდა. მან 5 შეხვედრა მოიგო და 4 ყაიმით დაამთავრა. თუ როგორ მიმდინარეობდა თითოეული პარტია, ამას მოგვიანებით მოგითხრობთ. მანამდე მსოფლიოს ექსჩემპიონ მ. ბოტვინიკის თხოვნით მოჭადრაკე გოგონა სამეცადინოდ მოსკოვში დარჩება რამდენიმე დღეს. როგორც ცნობილია, ნანა სწავლობს გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო საჭადრაკო სკოლაში, რომელსაც მ. ბოტვინიკი ხელმძღვანელობს.

მივულოცოთ ნანა იოსელიანს ახალი დიდი გამარჯვება!

თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ევროპის ჩემპიონი გოგონათა შორის ნანა იოსელიანი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## საქართველოს სპორტკომიტეტში

[...]ᲙᲘᲜᲓᲐᲨᲘ გამართულ მოჭადრაკე გოგონათა ევროპის მეორე ჩემპიონატში გამარჯვებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დააჯილდოვა თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. იოსელიანი. სპორტკომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა მისი მწვრთნელი გ. უბილავა.

## 4 : 1

### მაია ჩიბურდანიძის სასარგებლოდ

სამშაბათს ბად-კისინგენში (გფრ) გაიმართა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძისა და ა. კუშნირის ფინალური მატჩის V პარტია.

კუშნირმა პარტია თეთრებით კვლავ ლაშიერის პაიკით დაიწყო. ჩიბურდანიძემ მესამედ გაითამაშა ძველინდური დაცვა. თეთრების მე-12 სვლამდე შეხვედრა I პარტიის მსგავსად მიმდინარეობდა, კუშნირმა ახალი გაგრძელება აირჩია და პაიკებით მეტოქის მეფის ფრთას შეუტია.

მე-20 სვლაზე ჩიბურდანიძემ ოპტიმისტური და მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიიღო: ორ მსუბუქ ფიგურაში და პაიკში ლაშიერი შესწირა. შემდგომ კუშნირმა შეძლო მატერიალური უპირატესობისა და ინიციატივის შენარჩუნება.

პარტია გადაიდო. 41-ე სვლა ჩიბურდანიძემ ჩაიწერა.

### კუშნირი — ჩიბურდანიძე

#### ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კe2 0—0 6. კg5 c5 7. d5 h6 8. კe3 e6 9. h3 ed 10. ed ეe8 11. კd3 მh5 12. მge2 მd7 13. g4 მhf6 14. მg3 მe5 15. კe2 a6 16. 0—0 h5 17. კg5 hg 18. hg კ:g4 19. მce4 კh3 20. ეe1 მ:e4 21. კ:d8 მ:g3 22. fg ე:a:d8 23. ლb3 კc8 24. ეf1 ეd7 25. ეae1 ეde7 26. მფg2 მd7 27. ლd1 კ:b2 28. კg4 კe5 29. ეh1 f5 30. კf3 მf6 31. ლd2 კd7 32. ეh6 მფf7 33. ლg5 ეg8 34. g4 ეg7 35. ეf1 კd4 36. ეh8 მg8 37. ლh4 კf6 38. g5 კe5 39. ეe1 მფf8 40. ეe2 ეgf7 41. ლh6+, პარტია გადაიდო.

გუშინ თამაშის განახლებისას კუშნირმა ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა და 59-ე სვლაზე დამარცხდა.

მატჩის ანგარიშია 4:1 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

დღეს, 2 თებერვალს გაიმართება VI პარტია. თეთრებით ჩიბურდანიძე ითამაშებს.

### კალათბურთი

#### გამარჯვება თანაკლუბელებთან

[...]ᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო [...]ამპიონატის მეორე ეტაპზე გაიმართა კიდევ ორი მატჩი.

[...]მოსკოვში ადგილობრივ დინამოელებთან შეხვედრაში თბილისელმა თანაკლუბელებმა მძაფრ ბრძოლაში დაამარცხეს ისინი — 96:94 [...]). ქულების მესამედზე მეტი [...] შესძინა თბილისელებს მათმა კაპიტანმა მ. ქორქიამ. დამარცხებულთაგან ყველაზე შედეგიანი [...] ვ. ჟიგილიი — 29 ქულა.

[...]ტაუნასში ადგილობრივმა „ჟალგირისმა" რევანში აიღო პირველ ეტაპზე დამარცხებისთვის რიგის ვეფთან. აქაც სხვაობა მინიმალური იყო — 112:111 (54:54). ამ მატჩში ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ლინკიავიჩუსი („ჟალგირისი") — 26 ქულა და ქვიგურსი (ვეფი) — 25.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 თებერვლისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 1 | 1186:961 | 11 |
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 1010:957 | 8 |
| „ჟალგირისი" | 8 | 5 | 1189:1169 | 8 |
| „დინამო" თბ. | 8 | 5 | 1144:1153 | 8 |
| „დინამო" მ. | 7 | 6 | 1250:1161 | 7 |
| „კალევი" | 7 | 6 | 1127:1124 | 7 |
| ვეფ-ი | 7 | 6 | 1348:1379 | 7 |
| „სტროიტელი" | 5 | 7 | 920:957 | 5 |

### მძლეოსნობა

[...]ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ გაიმართა ლიტვის [...]ლეოსანთა შეჯიბრება, რომელ[...] სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ვილნიუსელმა სტუდენტმა ვ. ბურდაუსკენემ (682 სმ) წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 654 სმ-ზე გადახტა.

#### სეზონში საუკეთესო



[...]ᲙᲣᲠᲘᲐᲜᲨᲘ გრძელდება სათხილამურო რბოლებში საკავშირო თა[...] გათამაშება. ვიტყობინებოდით, რომ ვაჟთა შორის 15 კილომეტ[...] ასპარეზობაში გამარჯვება მოიპოვა სპორტის დამსახურებულმა [...]სტერმა ნ. ბაჟუკოვმა, რომელმაც მეტოქეებს კარგ სტილში მოუგო. [...] ამ წარმატებას დისტანციის ბოლო 5 კმ-ზე აქტიური ბრძოლით მი[...]ღწია.

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ბაჟუკოვი.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმი).

### კრივი

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ გროდნოში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდენტთა ნაკრები გუნდები. კარგად იასპარეზეს ქართველმა მოკრივეებმა — ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსელმა ჯონი ტაშატაძემ და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ალექსანდრე სოკურაშვილმა. ამ შეჯიბრებაზე მათ შესაბამის წონით კატეგორიებში საპრიზო ადგილები დაიკავეს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გია მუხიგულაშვილი, რომელიც ტრავმის გამო ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლებს, შეყვანილია „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში.

საქართველოს სტუდენტ მოკრივეთა ნაკრებს შეჯიბრებისთვის ამზადებდა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ძნელაძე.

ა. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

## საქართველოს სპორტკომიტეტის პარტორგანიზაციის ღია კრებიდან

**გასული** საიუბილეო წელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღინიშნა. ახალი კონსტიტუციის მიღებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვიეს, უფრო მონოლითურად დარაზმეს ისინი სკკპ XXV ყრილობის მიზანდასახულობათა შესასრულებლად.

და აი, კიდევ ერთი უდიდესი პოლიტიკური მოვლენის მოწმენი გავხდით: ესაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ეს დოკუმენტი ნათელი პროგრამაა იმისა, თუ როგორ წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა ახალ წელს, როგორ მივაღწიოთ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, როგორ შევასრულოთ სახელმწიფო საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი და აქტუალური ამოცანის განხილვას მიეძღვნა ამ დღეებში გამართული საქართველოს სპორტკომიტეტის ღია პარტიული კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ჯაიანი:**

# თავდადებული შრომა წარმატების საწინდარია

— საიუბილეო წლის შედეგები მოწმობს, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობა, — აღნიშნა მან. — ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გადაჭარბებით შესრულდა: ფიზკულტურელთა რაოდენობამ 1.060 ათასს მიაღწია, მომზადდა 311 ათასი მასობრივი თანრიგის სპორტსმენი, ნაცვლად 299 ათასისა. სპორტის ოსტატობის ნორმატივი შეასრულა 310-მა, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა — 25-მა კაცმა, რაც წლიურ გეგმას ბევრად აღემატება. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე.

ყველაფერი ეს მიუთითებს სპორტკომიტეტის პარტიული ორგანიზაციის, რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მუშაობის სტილის გაუმჯობესებაზე, ორგანიზაციული და პოლიტიკური საქმიანობის დონის ამაღლებაზე, კომუნისტების აქტივობის ზრდაზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა. მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების აუცილებლობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მაგისტრალური ხაზი იყო. სამწუხაროდ, წარმატების ეს აუცილებელი პირობა ბევრგან მივიწყებულია. თუნდაც ჩვენი სპორტსკოლების მუშაობას გადავხედოთ (რესპუბლიკაში მათი რიცხვი 150-ს აღწევს), სადაც ძირითადად მაღალი კლასის სპორტსმენებს უნდა ამზადებდნენ. სინამდვილეში აქ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხზე და ეფექტიანობაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც ზედმეტია.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი **დ. კაპცოვი:** ბოლო დროს ჩვენმა სამმართველომ გარკვეული ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით, შეიქმნა შტაბი, რომლის სხდომებზე რეგულარულად იხილება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ნაკრები კოლექტივების მზადებისა და სხვა საკითხები. გაიზარდა სპორტული სკოლების მუშაობისადმი მომთხოვნელობა და კონტროლი.

მართალია, უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევად გაუმჯობესდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, მშდ ფიზკულტურული კომპლექსის მასობრივად დანერგვის საქმე, გამოცოცხლდა გამაჯანსაღებელი საქმიანობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, მაგრამ მასობრიობის ზრდის ტემპები დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი **გ. მძლური:** ფიზიკური კულტურა და სპორტი მშრომელთა გაჯანსაღების მძლავრ საშუალებად რომ იქცეს, მისი მასობრივად დანერგვაა საჭირო, მაგრამ ბევრი წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციების მესვეურები გულგრილად ეკიდებიან ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. ბევრგან არაა დანერგილი საწარმოო ტანვარჯიში, არ ეწყობა ტურისტული ლაშქრობები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ამ ბოლო დროს მშდ კომპლექსის დანერგვას გარკვეული ყურადღება მიექცა, დამკვიდრდა კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრებების ჩატარების ტრადიცია, რაც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე მშდ მრავალჭიდელთა საკავშირო პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივის წარმატებაში გამოიხატა. საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილი გვაქვს სახლმმართველობების მესვეურებთან და პედაგოგ-ორგანიზატორებთან ჩავატაროთ თათბირ-სემინარი.

საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა:** სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება ყველა ფიზკულტურული მუშაკის უპირველესი მოვალეობაა. ამისთვის უნდა გამოვიყენოთ მუშაობის მოწინავე ფორმები და საშუალებები, ავამაღლოთ შრომის დისციპლინა და პირადი პასუხისმგებლობა, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად უნდა ვაქციოთ.

ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაცია დიდი ამოცანების წინაშე დგას — კარს მოგვადგა გრანდიოზული სპორტული ფორუმები: მოსწავლეთა სპარტაკიადა, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადები, დაბოლოს მოსკოვის ოლიმპიური თამაშები. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ [illegible] სისტემატური, [illegible] მუშაობით შევძლებთ ქართული სპორტის სახელოვანი ტრადიციების გამრავლებას.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში ფართო მხარდაჭერა ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ზევრმა ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციამ და კოლექტივმა მნიშვნელოვნად გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები აიღო. ეს მისაბაძი ინიციატივა მოიწონა საქართველოს სპორტკომიტეტმა და რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციას მოუწოდა აქტიურად ჩაებას საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში...

• • •

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, **გ. გოდერძიშვილი** (სპორტის გამოყენებითი სახეობის განყოფილების უფროსი), **ნ. ავალიანი** (სპორტკომიტეტის მთავარი ექიმი), **გ. ცქიტიშვილი** (საწყლოსნო სპორტის განყოფილების უფროსი), **რ. ტრაპაიძე** (მძლეოსნობის უფროსი მწვრთნელი), **ი. მალიუტინი** (სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი), **ხ. აგრანატი** (სპორტკომიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი), **ვ. ლომაძე** (სპორტკომიტეტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი).

## ერთი ფაბრიკის ფიზკულტურელები

**საწარმოო** გაერთიანება „თბილთამბაქოში" 730-მდე თანამშრომელი „სპარტაკის" წევრია, ხოლო 395 ფიზკულტურელია. გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს ე. გონაშვილსა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს ა. მიგრიაულს ცუდად როდი აქვთ დაყენებული გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმე ფაბრიკაში: საამქროებში ყოველდღიურად ტარდება ფიზკულტპაუზები, ხშირად იმართება შიდასაფაბრიკო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საწარმო გაერთიანების მუშა-სპორტსმენებს, პირველთანრიგოსან მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს — თამბაქოს საამქროს უფროსს ჯ. ტრიპოლსკის, ფილტრის საამქროს მექანიკოს შ. გაბიანს, მზა პროდუქციის მუშას ვ. ოდოშაშვილს, მექანიკური საამქროს ხარატს გ. ოქრუაშვილს, ბ. იობიძეს და ჯ. რთველაძეს თამბაქოს საამქროდან, მრავალჯერ უსახელებიათ თავიანთი კოლექტივი საქალაქო შეჯიბრებებში, კვების მრეწველობის პროფკავშირის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გამართულ პირველობებზე.

საწარმოს მუშა-მოსამსახურეები კარგად იყენებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითადი კანონის 41-ე მუხლით მინიჭებულ უფლებებს შრომის, დასვენების, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობის, თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების თაობაზე.

**სურათებზე: ფიზკულტპაუზა მექანიკურ საამქროში; შეჯიბრება ჭადრაკში; ასპარეზობა მაგიდის ჩოგბურთში.**

**ა. კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები.**







## სპორტული აჭარა

**ბათუმის** ბავშვთა სპორტსკოლის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა ქალაქის პირადი პირველობა იუნიორთა შორის (1960-1961 წლებში დაბადებულები) თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. სამსონაძე („დინამო"), ჯ. სურმანიძე (სპორტული სკოლა), ტ. ბოჭორიშვილი („დინამო"), გ. დიასამიძე (სპორტული სკოლა), ო. ხარაბაძე, თ. ბერიძე (ორივე — „დინამო"), ლ. ასამბაძე (სპორტული სკოლა), ი. იმერლიშვილი, გ. ზაქარეიშვილი, ჯ. წულუკიძე (ყველა — „დინამო").

ჭიდაობა სამბოში ბრწყინვალედ იასპარეზეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გ. გოგიჩაიშვილის აღსაზრდელებმა. აღსანიშნავია, რომ ათივე წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი დინამოელმა ფალავნებმა მოიპოვეს. ესენი არიან: ა. ენდიბიანი, ტ. ბოჭორიშვილი, ბ. სვანიძე, ვ. ვოჯკინი, გ. მატიუნინი, ვ. ზაიცევი, დ. ნანიკაშვილი, ი. იმერლიშვილი, გ. ზაქარეიშვილი, ა. სიგოევი.

„**დინამოს**" სტადიონის სექტორებსა და სარბენ ბილიკებზე ორ დღეს მიმდინარეობდა აჭარის 1978 წლის პირადი პირველობა მძლეოსნობაში იუნიორთა (1961-1962 წლებში დაბადებულები) შორის. შეჯიბრებაში 120 მძლეოსანი გამოვიდა.

აი ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულთა გვარები: **გოგონები.** 100 მ. ა. პაპიკიანი (სპორტული სკოლა), 400 მ. გ. გერმანოვა („დინამო"), 800 მ. მ. ხარეცკაია („დინამო"), სიმაღლეზე ხტომა. ე. აბრამოვა („დინამო"), ბირთვის კვრა. მ. სტარკოვა (სპორტული სკოლა). **ჭაბუკები.** 60 მ. გ. მაზმანიდი („დინამო"), 100 მ. ი. ტუსკაძე (ბათუმის მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა), 400 მ. ზ. ლორთქიფანიძე („დინამო"), 3000 მ. თ. ხიმშიაშვილი (ბათუმის მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა).

**ო. მურვანიძე.**

●

**საინტერესოდ** ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრება აჭარის თასზე. ვაჟებს შორის გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა, რომლებმაც ფინალში მოუგეს ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებს. ქალთა შორის თასი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს.

**ხულოში** დამთავრდა აჭარის სოფლის სპორტსმენთა პირადგუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. მასპინძლებმა კარგად იასპარეზეს და გუნდური I ადგილიც მათ დაისაკუთრეს. II ადგილი ხელვაჩაურის ნაკრებს ხვდა, III — შუახეველ მოჭიდავეებს.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ცეცხლაძე, ნ. ქედელიძე, ნ. ოჯახიშვილი (ყველა — ხულო), ე. დიდმანიძე, ზ. ჯიჯავაძე, ზ. პატარიძე (ყველა — ხელვაჩაური), ხოზრევანიძე, რ. ფუტკარაძე, ნ. ჩანჩიბაძე, დ. ზოიძე (ყველა — ხულო).

შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებმაც საკმაოდ კარგი ტექნიკა და ფიზიკური მომზადება აჩვენეს.

**ნ. დევაძე.**

**ბადმინტონი**

## ყველა თანრიგში...

**ქუთაისში** დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ბადმინტონში. შეჯიბრებაში 8 გუნდი მონაწილეობდა (თითოეული კოლექტივი 2 ქალითა და 4 ვაჟით იყო დაკომპლექტებული).

გუნდური პირველობა თბილისის პირველმა ნაკრებმა მოიპოვა, მომდევნო ორ ადგილზე არიან აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლები.

ქალთა პირად პირველობაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თ. ბალაშვილი (თბილისი), 2. ს. ხაჩატურიანი (ბათუმი), 3. რ. საფარიანი (თბილისი). ვაჟებში პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. ლ. მურადიანი (თბილისი), 2. გ. ნერსესიანი, 3. მ. ნერსესიანი (ორივე — სოხუმი). ქალთა წყვილებში თ. ბალაშვილისა და გ. ქსოვრელის (თბილისი) დუეტმა იმარჯვა. ვაჟებში ი. ჭარბაძემ (თბილისი) და ლ. მურადიანმა აჯობეს ყველას. შერეულ წყვილთა თანრიგში პირველობა თ. ბალაშვილისა და ლ. მურადიანის დუეტს ხვდა.

ამრიგად, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი თ. ბალაშვილმა და ლ. მურადიანმა მოიპოვეს, რომლებმაც ყველა თანრიგში იმარჯვეს.

**დ. დემეტრაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აქ, „დინამოს" საცურაოზე

დილის ნისლი ბურავს „დინამოს" სტადიონს. 9 საათია. კართან მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი კაცი შევნიშნე. მოზრდილი ჩანთა ისე უჭირავს, თითქოს ვერც გრძნობსო და დაფიქრებული მიაბიჯებს. ალბათ მწვრთნელია და ამა საფიქრებელს რა გამოულევს.

გულიანი სიცილის ხმა მომესმა. ბარზე ჩანთამოგდებულმა ბიჭებმა კი არ ჩამიარეს, ჩამიქროლეს და გაუჩინარდნენ. სიმაღლეზე ეტყობოდათ, კალათბურთელები იქნებოდნენ. მერე ახალგაზრდა ქალთან ერთად მიმავალი ბიჭუნა გამოჩნდა, ძლივს მიათრევს უზარმაზარ ჩანთას და. თან ცდილობს ქალს არ ჩამორჩეს.

თანდათან მატულობს ხმაური. სპორტულ მაისურებში გამოწყობილი რამდენიმე ჯგუფი სირბილით უვლის გარშემო სტადიონს. ზამთარს მხოლოდ აწითლებული სახეები და ცივ ჰაერს თეთრ ბოლქვებად შერჩენილი ორთქლი თუ შეგახსენებთ. ბიჭუნების ხმაურმა სტადიონზე მოსვლის მიზანი შემახსენა. პატარები ჟრიამულით შეცვივდნენ ერთ-ერთი დარბაზის კარში. „საცურაო აუზი" — ამოვიკითხე აბრაზე.

მოსაცდელში მშობლები შეჯგუფებულან, ბავშვების მოლოდინში საუბრით იქცევენ თავს. აუზიდან კი კისკისი, შეძახილები და წყლის დგაფუნი ისმის. შევაღე თუ არა კარი, ცხელი ორთქლი მეცა სახეში. ერთბაშად ამდენი ნორჩის დანახვაზე თვალები ამიჭრელდა.

— თავისუფლად, ფეხები თავისუფლად ამოძრავე. — სანდომიანი სახის, ლურჯმაისურიანი ქალი თვალს არ აცილებდა მოცურავეებს.

ოთხ ნაწილად დაყოფილ აუზში ყოველდღე უამრავი ბავშვი გადის წვრთნას. ჯგუფი 6-7 კაცისგან შედგება.

მწვრთნელ ნინო ჩოლარიას გუნდად ასდევნებიან პატარები. ახალბედების ჯგუფი სავარჯიშოდ ემზადება.

— დიდხანს ვიქნებით წყალში? მალე დავიწყებთ ვარჯიშს? — ერთ ადგილზე ცქმუტავენ, შეკითხვებით მოსვენებას არ აძლევენ აღმზრდელს.

მწვრთნელმა ვარჯიშზე დასწრება შემომთავაზა.

— ყოველ ნახევარ საათში პატარების ახალი ჯგუფი მოდის, ამიტომ ვცდილობთ, დრო ტყუილუბრალოდ არ დავხარჯოთ, — მითხრა მწვრთნელმა, თან სასტვენით ბავშვებს ვარჯიშის დაწყება ანიშნა.

ერთმანეთს არ აცლიან წყალში ჩასვლას მარინა და ბლიკო, კახა და ზურა. პაწაწინა ხელები წყლის ზედაპირზე ტყაპუნობენ. სასაცილოდ ფართხალებენ ცეროდენები.

— ჯერ კიდევ უჭირთ, ამიტომ ხშირად ერთდაიგივეს ათჯერაც ვიმეორებთ, — ისევ მე მომიბრუნდა ნინო და თან კახას თვალით ანიშნა ნუ ცელქობთო.

პატარა მარინა თვალებს წკურავს და დაცინვით შეჰყურებს ჩაპუტკუნებულ კახას, თავს რომ ვერ იმაგრებს წყლის ზედაპირზე.

— თავიდან დავიწყოთ. — ისმის აღმზრდელის ხმა.

— ყოჩაღად, ალიკო, ყოჩაღად, — ამხნევებს შუა აუზში გაჩერებულ ბიჭს, რომელიც გულმოდგინედ ამოძრავებს ფეხებს, ხელებს და ადგილიდან მაინც ვერ იძვრის. ისევ პატარა მარინკა შველის.

— ასე, შე უშნო, ასე. — ეუბნება და თევზივით მისრიალებს აუზის ბოლოსკენ.

— ახლა შეისვენეთ, ღრმად ისუნთქეთ, ჩაიმუხლეთ, — მშვიდად იძლევა განკარგულებებს მწვრთნელი.

სწრაფად გაირბინა ნახევარმა საათმა. სავარჯიშო დროც ამოიწურა. ბავშვები ბუზღუნით, სველი ფეხების ტყაპატყუპით მირბიან გასახდელებისკენ, წურწურით ჩამოსდით წყალი.

— ძალიან ცელქები არიან. ერთ ადგილზე ვერ გააჩერებთ. — ღიმილით მეუბნება ნინო და თავის აღსაზრდელების კვალს მისდევს.

აუზის კარი გამოვიხურე. თან გამომყვა ბავშვების ჟივილ-ხივილი, წყლის დგაფუნი და იმედი, რომ ბევრი მათგანი ხვალ და ზეგ ნამდვილი სპორტსმენი გახდება, ზოგი იქნებ სახელგანთქმულიც. ესეც არ იყოს, იმას რაღა დაუდგება წინ, რომ თითოეული მათგანი აქ, „დინამოს" საცურაო აუზში ნაწრთობი სხეულით ხალისიანად შეუდგება ცხოვრების აღმართს.

ქ. ბახუტაშვილი.

• • •

სურათზე: „დინამოს" საცურაო აუზი. მწვრთნელი ნ. ჩოლარია მორიგ მეცადინეობაზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# პატარა ბურთის პრობლემები

**მაგიდის ჩოგბურთის შესახებ თავის აზრს გვიზიარებს რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი, საკდესის სპორტული მიმომხილველი გენადი ავერინი:**

სარქის სარხოიანი თავჩაქინდრული მიუახლოვდა სსრ კავშირის ნაკრების სკამს. ძალიან საწყენია წაგება, მას შემდეგ როცა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში 10 ქულით მიგყავს თამაში.

გფრ-ის გუნდთან (5:4) დამარცხების შემდეგ 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები VI ადგილზე გავიდა. ქალთა ნაკრები ერთი საფეხურით მაღლა იყო. საბჭოთა ჩოგბურთელები უმედლოდ დარჩნენ პირად ჩათვლაშიც. სულ ახლახან კი ჩემპიონის ტიტულებიც გვქონდა და მედლებიც.

1963-დან 1970 წლამდე პერიოდს საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთში, თამამად შეიძლება „ოქროსი" ეწოდოს. ს. გომოზკოვი და ზ. რუდნოვა, ა. ამელინი და ს. გრინბერგი არაერთხელ იყვნენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები. ისინი შეცვალეს ე. პოპოვამ (სუმგაითი), ნ. ანტონიანმა და ა. ზახარიანმა (ორივე — ერევანი), ა. სტროკატოვმა (ლვოვი) და თუ ქალთა ნაკრების ცვლა ღირსეული გამოდგა, ამას ვერ ვიტყვით ვაჟებზე (სტროკატოვის გარდა). ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატში ოქროს მედლების უმეტესობას საბჭოთა იუნიორები იხვეჭენ. მაგრამ უფროსების პირველობებში ყოფილი იუნიორების წარმატებები უფრო მოკრძალებულია (მხოლოდ 1976 წელს სტროკატოვმა პირველად მოიპოვა „ვერცხლი" ერთეულთა თანრიგში).

რატომ არის, რომ იუნიორთა ასაკიდან გამოსული ახალგაზრდა ჩოგბურთელები „უხერხულად" გრძნობენ თავს უფროს ამხანაგებთან ორთაბრძოლებში. მიზეზი ბევრია, რომელთაგან ჩემის აზრით მთავარია დიდ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილების უქონლობა.

მაგალითად, 1976 წელს ევროპის ჭაბუკთა პირველობაში ვ. პუტილოვსკიმ ადვილად სძლია თავის ინგლისელ თანატოლებს დეისა და ბარდენს. 1977 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დეი და ბარდენი, რომლებმაც შესამჩნევად აიმაღლეს ოსტატობა, უკვე გამოდიოდნენ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, ხოლო პუტილოვსკი, რომელსაც არ ჰქონდა ძლიერ ჩოგბურთელებთან შეხვედრის გამოცდილება, სათადარიგოთა სკამზე იჯდა, რამდენადაც ოსტატობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გომოზკოვს, სარხოიანსა და სტროკატოვს.

შვედმა ბენგსტონმა ერთი წლის განმავლობაში ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონის წოდებას მიუმატა უფროსებში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მან ბევრ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა.

საბჭოთა სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლის პირობები აქვთ. მაგიდის ჩოგბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სახეობაა ჩვენს ქვეყანაში. ჩოგბურთელთა მრავალმილიონიან არმიას 1500-ზე მეტი მწვრთნელი ამეცადინებს. მაშ რა უშლის ხელს ოსტატობის ამაღლებას?

უპირველესად ადგილებზე ახალგაზრდა სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი მომზადება. მწვრთნელთა უმრავლესობა არ ითვალისწინებს მაგიდის ჩოგბურთელისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებიც არც თუ ისე ცოტაა: რეაქციის სისწრაფე და აზროვნება, მაღალი ათლეტური მომზადება. მსოფლიოს საუკეთესო ოსტატების თამაში სწრაფი ტემპით ხასიათდება. ცელულოიდის პატარა ბურთულა (მისი წონა 2,5 გრამია) საათში 150 კმ-ის სისწრაფით „დაფრინავს" და აუცილებელია არა მარტო დარტყმაზე რეაქციის მოხდენა, არამედ ბურთის გაგზავნა მაგიდის საჭირო წერტილში. გამოთვლილია, რომ მაგიდის ჩოგბურთის თანამედროვე ოსტატი ხუთხელიანი მატჩის დროს ასწრებს სწრაფი ტემპით 5 კმ-მდე მანძილის გარბენას (დიდ შეჯიბრებებში სპორტსმენს ხანდახან დღეში 4-5 შეხვედრის ჩატარება უწევს).

ამგვარი თამაშებისთვის მოსამზადებლად საჭიროა დატვირთვის მოცულობის გაზრდა, ვარჯიშის მაღალი ინტენსიობა. ადგილებზე მწვრთნელები მაგიდის ჩოგბურთის სიახლეებს ნაკლებად იცნობენ. სპორტის ამ სახეობაში მეთოდური ლიტერატურა მეტისმეტად ცოტაა. მწვრთნელთათვის დამხმარე წიგნი (ვ. ივანოვის — „მაგიდის ჩოგბურთი") უკანასკნელად 1966 წელს გამოვიდა. მაგიდის ჩოგბურთის მწვრთნელებად ჩვეულებრივ ის სპორტსმენები ხდებიან, რომლებმაც დაამთავრეს აქტიური გამოსვლები, მდიდარი სათამაშო გამოცდილება დაუგროვდათ, მაგრამ სპორტის ამ სახეობის თანამედროვე განვითარების შესაბამისი თეორიული ცოდნა აშკარად არ ჰყოფნით.

მაგიდის ჩოგბურთი სპორტის ისეთი სახეობაა, რომლის ტექნიკური აღჭურვილობა მაგიდის, ბადის, ჩოგნისა და ბურთისგან შედგება. ამ ბოლო დროს კი მეტად ამაღლდა ჩოგნების რეზინის საფარველის მნიშვნელობა.

სამამულო წარმოების ბურთები და ჩოგნები, სამწუხაროდ, ძალიან დაბალი ხარისხისაა და ისინი მხოლოდ „პინგ-პონგის" სათამაშოდ თუ გამოდგება. ეს კი, ბუნებრივია, აფერხებს მაგიდის ჩოგბურთის ფართო განვითარებასა და ჩოგბურთელთა ოსტატობის ამაღლებას.

საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთის წინაშე ბევრი პრობლემა დგას, მაგრამ ვიმედოვნებ ახალგაზრდა ოსტატები ვეტერანების სახელოვან ტრადიციებს გააგრძელებენ (საკდესი).



სურათზე: სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელი ს. გომოზკოვი ასპარეზობის ხას.

გ. ახალაძის ფოტო.

## რეგბი

### საუკეთესო მსაჯთა შორის

რეგბის საკავშირო ფედერაციის მსაჯთა კოლეგია ყოველწლიურად ადგენს ქვეყნის ათი საუკეთესო მსაჯის სიას. შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით ამ სიაში შეყვანილია თბილისელი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. კაჭარავა.

## [illegible]

### სამტრედია

ადგილობრივ სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „სპარტაკის" რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა, ფრენბურთი და კალათბურთი.

ჩემპიონი გახდა ქალაქკვებრობის ფიზკულტურის კოლექტივი. II ადგილზე გავიდა ჩაის საწნეხი ფაბრიკის ნაკრები. III ადგილი ხვდა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის გუნდს.

ი. ნიკოლეიშვილი.

### აბაშა

აბაშის სპორტულ მოედნებზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი. სასპარეზოდ გამოვიდა რაიონის 10 ფიზკულტურული კოლექტივი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში აბაშის საქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლებმა იმარჯვეს, მომდევნო საპრიზო ადგილებზე პროფტექნიკური სასწავლებლისა და სოფელ ეწერის სპორტსმენები არიან.

რ. ჭანტურია.

# ნათელი კვალი რომ დასტოვოს...

**ამ ბოლო** დროს მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახის მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. მილიონობით საბჭოთა მოსწავლე ასპარეზობს ისეთ პოპულარულ ტურნირებში, როგორიცაა „ტყავის ბურთის" პრიზი, „ოქროს შაიბა", „ვერცხლისფერი ციგურები" და სხვ. მოსწავლეთა შორის უთუოდ მომავალი ოლიმპიელებიც არიან. სიმბოლურია ისიც, რომ ოლიმპიურ 1976 წელს პირველი ნაბიჯები გადადგა მოსწავლეთა ახალმა სპორტულმა თამაშმა „იმედის სტარტებმა", რომლის დევიზია „ოლიმპიელები — ჩვენს შორის!" სწორედ მომავალ ოლიმპიელთა აღმოჩენა და მომზადებაა მოსწავლეთა მასობრივი შეჯიბრებების უპირველესი მიზანი.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში თბილისში ჩატარდა მრავალი ღონისძიება, რომელშიც ათასობით მოსწავლე მონაწილეობდა.

კალინინის რაიონის სპორტული სკოლის (დირექტორი გ. თოხაძე) ბაზაზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა სპორტის 4 სახეობაში (ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი) რაიონის სკოლებს შორის გამართული შეჯიბრება, რომელშიც 120-მდე მოსწავლემ იასპარეზა. ასპარეზობა საინტერესოდ და მაღალ დონეზე ჩატარდა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით სკოლის დირექციას, მსაჯებს გ. ქუმსიაშვილს, ა. გიგოლაშვილს, ხ. ღოღობერიძეს და ლ. სნეგირევსკაიას. დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ყველა სახეობაში. გამოჩნდა ახალი, პერსპექტიული სახელები, მაგალითად, მხატვრულ ტანვარჯიშში (სადაც შეჯიბრება მოზრდილთა და მოზარდთა ყველა თანრიგში ჩატარდა) თავი ისახელეს ნორჩმა სპორტსმენებმა ხ. კოპალეიშვილმა და გ. წიკლაურმა. კარგად იასპარეზეს ჩოგბურთელებმაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გამართულ მოსწავლე ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალურ ტურნირში თბილისის მოსწავლეთა გუნდმა დაამარცხა მოსკოვის (II გუნდი), მინსკისა და ტაჯიკეთის ძლიერი კოლექტივები. ნაკრების ექვსი წევრიდან სამი კალინინის რაიონის 51-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ჩეჩელაშვილი) მოსწავლეა (პ. სეხნიაშვილი, მ. გოშაძე და ი. მალაციძე). სკოლაში გახსნილია სპორტული კლასები, სადაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და პედაგოგის გ. გაბიტაშვილის ხელმძღვანელობით ბავშვები ვარჯიშობენ. ჩვენის აზრით, შეიძლება სპორტის ერთ (ვთქვათ ჩოგბურთში) ან სპორტის რამდენიმე სახეობაში მოსწავლეთა სავალდებულო სპეციალიზებული სწავლება. მაგრამ შემწეობა და მეტი ყურადღება სჭირდება თბილისის ბევრ სხვა სკოლასაც, სადაც ჯერ კიდევ ძალიან დაბალია ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარების დონე.

გ. თათეიშვილი.

# თავი აარიდეს

**ოთხ თვეს** მიმდინარეობდა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა II რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადაში სპორტის 6 სახეობა (ჭადრაკი, ფრენბურთი, ქართული ჭიდაობა, ტყვიის სროლა, შაში, მაგიდის ჩოგბურთი) იყო შეტანილი.

სამწუხაროდ, ამ საინტერესო ღონისძიებას ბევრმა ორგანიზაციამ აარიდა თავი. სულ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა 59 ორგანიზაციაა, აქედან ამ შეჯიბრებებში 27-მა მიიღო მონაწილეობა. ავკ ვიტყვით, რომ ქქსიივ სამ- მოვლონ მხოლოდ კასპელების მონ- ინის მონაწილეობა, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც საერთო გუნდური პირველობა. II ადგილი ახმეტელების წარმომადგენლებმა ხვდათ წილად, III — ყვარლელ კოოპერატორებს (ორივემ ხუთ-ხუთ სახეობაში იასპარეზეს).

ბ. ზღვიანაძე.

# ენრიკე ფიგუეროლა:
## საუკეთესონი იყვნენ ხუანტორენა, აკერმანი და იაშჩენკო



დაიბადა 1938 წლის 15 ივლისს. ქალაქ სანტიაგო დეკუბაში. სიმაღლე 167 სმ. წონა 76 კგ. 1958 წელს ეწიარა მძლეოსნობას, 1960 წელს მონაწილეობა მიიღო რომის ოლიმპიურ თამაშებში და 100 მ. რბენაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, ოთხი წლის შემდეგ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში გახდა ვერცხლის პრიზიორი შედეგით 10,2 წამი. 1965 წლის 12 დეკემბერს ჰავანის საერთაშორისო შეჯიბრების დროს 200 მ გაირბინა 20,5 წამში და დაამყარა პანამერიკული რეკორდი. 1967 წელს ქალაქ ბუდაპეშტში მსოფლიოში მერვემ აჩვენა 10 წმ 100 მ-ზე. ჰყავს ორი ქალიშვილი 5 და 11 წლის.

უკვე მრავალი წელია ადნ-ის სპორტული რედაქცია ტრადიციულ გამოკითხვას აწარმოებს წარსულში გამოჩენილ სპორტსმენებთან. 1977 წლის ბოლოს ენრიკე ფიგუეროლას დაუსვეს ტრადიციული სამი კითხვა:

**1. როგორ მოეწყო თქვენი ცხოვრება დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ და რა კავშირი გაქვთ ამჟამად ფიზკულტურასა და სპორტთან?**

**2. როგორ უყურებთ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების შემდეგ სპრინტის განვითარებას და განსაკუთრებით რომელი სპორტული მიღწევა დაგამახსოვრდათ 1977 წელს?**

**3. განვითარების რა ტენდენციებს ამჩნევთ 1980 წლის წინა საოლიმპიადო პერიოდში. თქვენი აზრით რა შედეგების ჩვენება იქნება საჭირო თქვენს სახეობაში მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონობის მოსაპოვებლად?**

1. მას შემდეგ, რაც დიდი სპორტიდან წავედი, მიმიწვიეს სპორტის, ფიზაღზრდისა და აქტიური დასვენების ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელ ორგანოში. მაკისრია რეკორდების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ხელმძღვანელობა, ამასთანავე პასუხისმგებელი ვარ მოტო და ველოსპორტის, ძალოსნობის, სროლის და ჭადრაკის განვითარებისათვის. სექტემბერში უმაღლეს სასწავლებელში დავიწყებ მეცადინეობას „მეცნიერება და სპორტის“ განხრით. ამჟამად ჩემი „სპორტული სიბერის“ თითქმის მთელ თავისუფალ დროს ბეისბოლის თამაშს ვუთმობ.

2. ჩემთვის საუკეთესო წლები — ეს იყო 1967-68 წლები — 100 მ. 10,0 წამში გავირბინე. ეს უმაღლესი მიღწევა იყო ამ დისტანციაზე, რასაც იმ დროისათვის სპორტულ სამყაროში სენსაციური მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ სპორტულ ექსპერტებს 100 მ. დისტანციაზე 9,9 წამი ილუზიად ეჩვენებოდათ, ახლა კი 10 წლის შემდეგ ეს ილუზია სინამდვილედ იქცა. ასეთ მიღწევებს სპორტსმენები ახალ, განვითარებულ ტექნიკას უნდა უმადლოდნენ, მოდურ სინთეთიკურ სარბენ ბილიკებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მოსკოვის წინასაოლიმპიადო მზადების პერიოდში, პირველ რიგში ყველაზე მთავარ, აქტუალურ საკითხად ტექნიკის შემდგომი განვითარება და სრულყოფა მესახება.

1977 წლის სპორტულ მიღწევათა შორის ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ჩემი თანამემამულის ალბერტო ხუანტორენას წარმატებები. სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენების როზემარი აკერმანისა და ვლადიმერ იაშჩენკოს ფენომენალური შედეგები.

3. დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მოწმენი გავხდებით რაიმე სიურპრიზისა სპორტის რომელიმე სახეობაში. დღეისათვის მწვავედ დგას საკითხი: სად არის სპორტსმენთა შესაძლებლობების ზღვარი? რა წარმატებას შეიძლება მიაღწიოს ათლეტმა ამა თუ იმ სახეობაში? ამ ბოლო დროს პერსონალურად გამოვიკვლიე და გამოვთვალე პერსპექტიული სპორტსმენების შესაძლებლობები და მივედი იმ დასკვნამდე, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე 100 მ-ზე გამარჯვებული დისტანციას დაფარავს 9,8 და შეიძლება 9,7 წამშიც კი. სპრინტში ჩემპიონობის პერსპექტიულ პრეტენდენტებად ჩემი თანამემამულეებიც ლეონარდი და ხარაც ითვლებიან. საუკეთესო სპორტსმენ ქალს 100 მ. დისტანცია შეუძლია დაფაროს 11,0 წამში, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, ტექნიკის სრულყოფა გაზრდის მათ შესაძლებლობებს.

ჩვენ, კუბელები ვეცდებით მოსკოვში მოწინავე პოზიციები დავიკავოთ. ვიცით, რომ ამ სპორტულ ჭიდილში ჩვენი უმთავრესი მეტოქეები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები იქნებიან, მაგრამ ჩვენ მეგობრები ვართ და მეგობრის წარმატებები კი საწყენად არ დაგვრჩება.

გერმანულიდან თარგმნა
**გ. ლამბაშიძემ.**

• • •

**სურათზე:** ძმების ზნამენსკების სახელობის პრიზებზე 1965 წელს კიევში გამართული მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების ლაურეატი კუბელი ენრიკე ფიგუეროლა.

## ფეხბურთი

### მეორე წრეში [illegible]

**ვინიცაში** დამთავრდა ფეხბურთელ ვაჟთა გუნდების პირველი ლიგის საკავშირო პირველობის პირველი წრის დასკვნითი ტური. შეჯიბრება ორ ქვეჯგუფში ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდა 7-7 გუნდი. წარუმატებლად აიღო სტარტი პირველ ტურში, რომელიც ალმა-ათაში მიმდინარეობდა, თბილისის „სპარტაკმა“: მან ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგო (ერევნის „სევანს“ 3:2 და დუშანბეს „ხოსილოტს“ 3:0).

დასკვნითი შეხვედრების წინ სპარტაკელები კარგად მოემზადნენ და ამან შედეგზეც იმოქმედა. ამ ტურში თბილისელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს. ჩვენმა ფეხბურთელებმა შვიდი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს და სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილიდან მეშვიდეზე გადაინაცვლეს.

სტარტზე სამი მოგების შემდეგ (ბაქოს „დინამოსთან“ — 3:1, ლენინგრადის „დინამოსთან“ 3:2 და აშხაბადის „ხაზმეტთან“ 3:0), სპარტაკელებმა სამი შეხვედრა წააგეს ადგილობრივ არმიელებთან — 0:3, შემდეგ დაძაბულ ბრძოლაში ერთნაირი ანგარიშით (2:3) დათმეს კიშინიოვის „მოლდოვასთან“ და ვილნიუსის „კუროაპარატურასთან“. დასკვნითი შეხვედრა თბილისელებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და ძნელ ბრძოლაში სძლიეს როსტოვის არმიელებს — 3:2.

პირველი წრის შემდეგ გათამაშების ცხრილს დამაჯერებლად ლიდერობენ ვინიცელი არმიელები — 13 ქულა 13 შეხვედრიდან, მეორე ადგილზეა ალმა-ათის „დოროჟნიკი“ — 11 (გასულ სეზონში ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა). III-IV ადგილებზე არიან ტალინის „დინამო“ და გროზნოს „ავტომობილისტი“ — 10-10 ქულა. თბილისელები 6 ქულით VII ადგილზე იმყოფებიან.

**ფ. ლეონიძე.**

## მძლეოსნობა

მსოფლიოს დახურულ დარბაზებსა და სტადიონებზე მიმდინარეობს მძლეოსანთა შეჯიბრებები. **პორტლენდში** ავსტრალიელმა ი. კემპბელმა სამხტომში 16,68 მეტრი აჩვენა. მექსიკელმა რ. გომესმა დარბაზებისთვის უჩვეულო დისტანციაზე — 5000 მეტრზე რბენაში საკმაოდ მაღალი შედეგი (13.47,9) მოიპოვა. ამერიკის ნაკრების ვეტერანმა ე. ფეიერბახმა ბირთვი 20,41 მეტრზე ჰკრა.

**ოტავას** დარბაზში ორმა სპორტსმენმა ქალმა — მასპინძელმა დ. ბრილმა და ამერიკელმა ჯ. ჰანტლიმ ერთნაირი სიმაღლე (192 სმ) დაძლიეს. ნაკლები ცდებით გამარჯვება ხვდა ჰანტლის, რომელმაც წლეულს უკვე სამჯერ შეძლო 190 სმ სიმაღლეზე და უფრო მაღლა გადებულ თამასას გადავლებოდა.

**კოსფორდში** დიდი ბრიტანეთის ახალი ზამთრის მიღწევა სამხტომში დაამყარა ქ. კონორმა — 16,54 მ. დარბაზებისთვის ბირთვის კვრაში ევროპის რეკორდსმენმა ჯ. კეიპსმა ამჯერად 20,32 მ აჩვენა.

ახალი ზელანდიის ქალაქ **ოკლენდის** სტადიონზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, პოლონელმა ი. შევინსკამ მისთვის საყვარელ დისტანციაზე — 400 მეტრზე რბენაში საკმაოდ კარგი შედეგი (52,63) აჩვენა.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეოთხე ტირაჟებისა, რომელიც მოსკოვში 28 იანვარს მოეწყო.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 197, სამისთვის—6.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება, აგრეთვე, 5000 მანეთია, ოთხისთვის — 285, სამისთვის — 6.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა სპორტლოტოსა და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-5 ტირაჟი.

„სპორტლოტო“: 4, 8, 17, 19, 23, 43. შეღავათიანი ბურთულა 48. „სპორტლოტო-2“: 13, 20, 22, 24, 39, 48. შეღავათიანი ბურთულა 2.

## ოთხ შეხვედრაში სამი გამარჯვება

**სსრ კავშირის** სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების პირველი ლიგის საკავშირო პირველობის მატჩები. ამ დღეებში ოთხი შეხვედრა გამართეს თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელებმა, რომელთაგან სამში გაიმარჯვეს.

თბილისელთა პირველი მეტოქე იყო ლენინგრადის კლუბი „სვეტლანა“. ორივე შეხვედრა გამოცდილ კოლექტივთან მასპინძლებმა ძალების დაუზოგავად ჩაატარეს და დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს მეტოქის დამარცხება — 111:110 (47:43) და 101:98 (52:51). უნივერსიტეტის კალათბურთელთა გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ლ. ხუჯაძემ და ვ. ჯგერენაიამ — 79 (42+37) და 49 (22+27) ქულა.

არანაკლებ დაძაბული და საინტერესო იყო შეხვედრები ტარტუს „ეხიტაიასთან“. პირველ მატჩში ჩვენმა სტუდენტებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება 101:97 (47:49), მეორე მატჩში კი ესტონელებმა დამატებით დროში რევანში აიღეს — 120:108 (75:76, 100:100). როგორც ყოველთვის, საუკეთესო ბომბარდირები იყვნენ ლ. ხუჯაძე — 68 ქულა (ორივე მატჩში) და ვ. ჯგერენაია — 54. სტუმართაგან თავი გამოიჩინა გ. დუდკინმა — 58 (21+37) ქულა.

უკანასკნელმა მატჩებმა უდავოდ გვიჩვენა სტუდენტთა ოსტატობის ამაღლება შედარებით შარშანდელ წელთან. მნიშვნელოვნად აიმაღლეს ოსტატობა თ. გელაშვილმა, ა. სანიკიძემ და სხვებმა. მაგრამ „გრძელი სკამის“ უქონლობა გუნდს საშუალებას არ აძლევს მთელი მატჩის მანძილზე მაღალ ტემპში იმოქმედოს, რაც, რა თქმა უნდა, 7-8 მოთამაშის ხარჯზე ძალზე ძნელია. ახალი წესებით ხომ მატჩი 48 წუთს გრძელდება, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის.

**ლ. ქართველიშვილი.**

## კალათბურთი

## ლიდერთა შორის

**თბილისის** სამედიცინო ინსტიტუტის სპორტდარბაზში მიმდინარეობს უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მეოთხე სპარტაკიადის ფინალური ტურნირი კალათბურთში. წინასწარი შეხვედრების შედეგად გამოვლინდა რვა უძლიერესი გუნდი, რომლებმაც ჩემპიონობისთვის ბრძოლა ორ ნახევარფინალურ ჯგუფში გამარჯვების შედეგად მოიპოვეს. დანარჩენი შვიდი გუნდი IX-XV ადგილებს გაითამაშებს.

წარმატებით გამოდიან ტურნირის მასპინძლები — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელები. ჯგუფურ ტურნირში მათ დაამარცხეს დუშანბელები — 103:58 (ეს ჯერჯერობით შეჯიბრების რეკორდია), სიმფეროპოლელები 66:46, ხოლო შემდეგ ნახევარფინალის პირველ მატჩში სძლიეს იაროსლაველ კოლეგებს 72:55. ახლა ისინი მოსკოვის, ოდესის, დონეცკის, რიგის, კრასნოიარსკის გუნდებთან ერთად განაგრძობენ შეჯიბრებას.

**ლ. თუშიშვილი.**

## ჭადრაკი

## იბრძვიან ფინალის საგზურებისთვის

რიაზანში დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის სოფლის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის ნახევარფინალი, რომელშიც 48 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი თამაშობს. ფინალის 10 საგზურისთვის ბრძოლაში „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წარგზავნილებიც მონაწილეობენ.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ჩვენებიც არიან: ოსტატ ა. ბოკუჩავას 6 ქულა აქვს, ოსტატ თ. კიკიანს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ოსტატობის კანდიდატ, 13 წლის გ. თორიას — 5,5.

ყველაზე უმცროსმა მონაწილემ, ზუგდიდელმა გ. თორიამ შეძლო ოსტატების გასინის (მოსკოვი), შადიკოვის (ტაჯიკეთი), მილიუტინის (უკრაინა) დამარცხება, ხოლო ორ ოსტატთან ყაიმს მიაღწია.

## კრივი

**სსრ კავშირში** ტურნეს მეორე მატჩი ამერიკელმა მოკრივეებმა გამართეს დონეცკში უკრაინის ნაკრებ გუნდთან. ამჯერადაც გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებს დარჩათ — 6:3. ბოლო მატჩს ოკეანესგაღმელი მოკრივეები ჩაატარებენ ალმა-ათაში, 3 თებერვალს.



აი, ასეთ არაჩვეულებრივ „თვითმავალ წყლის თხილამურებს“ ნახავთ ქალაქ დუისბურგის (გფრ) დელფინარიუმში.

საკდესის ფოტო.

## „უდიდესი მოულოდნელობა“

საბჭოთა კავშირის სამთო-მოთხილამურეები აგერ მერამდენე წელია სისტემატურად ცდიან ძალებს მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში, მაგრამ ისეთი წარმატებისთვის, როგორიც მათ წლეულს მოიპოვეს, არასოდეს მიუღწევიათ. მსოფლიო თასების გათამაშებაში ჩვენი ვაჟები უკვე რამდენჯერმე დაეშვნენ მარჯვედ. სპეციალისტების აზრით, საბჭოების ქვეყანაშიც აღიზარდნენ ოსტატები, რომლებსაც ფავორიტების მეტოქეობა შეუძლიათ.

და აი, ახლა გარმიშ-პარტენკირხენის მიდამოებში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს 3320-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 920 მ), სწრაფდაშვებაში შეჯიბრების მერე საზღვარგარეთელი კორესპონდენტებიც ალაპარაკდნენ საბჭოთა ვაჟებზე, რომელთა გამოსვლას „უდიდესი მოულოდნელობა“ უწოდეს. მართლაც, 20 წლის კემეროვოელმა სტუდენტმა ვ. მაკეევმა (2.06,20) IX ადგილის მოპოვება შეძლო. მან უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული სპორტსმენები, როგორიცაა ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ბ. რიუსი (შვეიცარია), იტალიელები ჰ. პლანკი, მსოფლიო თასის სამგზის მფლობელი გ. ტონი და სხვ.

ასპარეზობაში 70 მონაწილე ჩაება. ოქროს მედლის პრეტენდენტად ოლიმპიურ ჩემპიონს ფ. კლამერს (ავსტრია) თვლიდნენ, ვინაიდან იგი ამ სახეობაში დიდი სტაბილურობით გამოირჩევა. მაგრამ ამჯერად პროგნოზები არ გამართლდა. იგი მხოლოდ VI ადგილს დასჯერდა (2.04,77), თუმცა ჩემპიონთან — თანაგუნდელ ი. ვალჰერთან სულ რაღაც 0,65 წამი წააგო. ვალჰერი გზადაგზა 120 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა და საბოლოოდ წამზომებმა 2.04,12 აღნიშნა. ვერცხლის მედალი ერგო ზ. ვაიტს (გფრ) — 2.04,19, ბრინჯაოსი — ვ. გრისმანს (ავსტრია) — 2.04,46.

სხვა საბჭოთა სპორტსმენების მაჩვენებლები ასეთია: ვ. ციგანოვი — 2.08,7 (26-ე ადგილი), ს. ნაზაროვი — 2.12,26 (33-ე), ვ. ანდრეევი — 2.12,46 (35). თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა მოთხილამურეებს 48-ე ადგილი ჰქონდათ, წინსვლა უდავოა.

რედაქტორი
**ა. გასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14. 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07661